განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამა

შპს - საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 01.04.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21.04.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული სტომატოლოგი (090201)
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული 02.05.2014 #88

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნინო კორსანტია**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ოდონტოლოგიის დეპარტამენტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ეკატერინე ბეშკენაძე**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ოდონტოლოგიის დეპარტამენტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ანა ბაცანკალაშვილი**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2014 წლის 2 მაისს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #9 ოქმის გადაწყვეტილებით. ამჟამად პროგრამა გადის რეაკრედიტაციას.

საგანმანათლებლო პროგრამა სტომატოლოგიაში განკუთვნილია ინგლისური ენის მცოდნე საქართველოს მოქალაქე და უცხოელი სტუდენტებისთვის, მოიცავს სწავლების 10 სემესტრს.

უკვე აკრედიტებული პროგრამით საქართველოს უნივერსიტეტში სწავლობს 663 აქტიური სტუდენტი, სტატუსი შეჩერებული აქვს 289 სტუდენტს. პროგრამას წელს პირველად ეყოლება კურსდამთავრებულები (208 სტუდენტი). პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 41 აკადემიური (7 პროფესორი, 23 ასოცირებული პროფესორი, 6 ასისტენტ პროფესორი, 5 ასისტენტი) და 72 მოწვეული პერსონალი.

საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების გაცნობიდან ირკვევა, რომ პროგრამის მიზანია სტუდენტისთვის ცოდნის მიცემა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების კუთხით. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა და ასევე სხვა სტომატოლოგიური ბაზები, სადაც სტუდენტები იღებენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას, უმეტესად მანეკენებზე და ფანტომებზე მუშაობის, ექიმის ასისტირების და პაციენტებზე მარტივი მანიპულაციების ჩატარების გზით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2019 წლის 1 აპრილს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადმოგვეგზავნა უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. დამატებითი საბუთები და მასალები, მოთხოვნის შემდგომ, ნაწილი გადმოგვეცა ადგილზე, ხოლო ნაწილი მოგვიანებით, ელექტრონული ფოსტით. წინააღმდეგობების გარეშე ჩატარდა ჩვენთვის საინტერესო პირების გამოკითხვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

სამწუხაროდ, აკრედიტაციისთვის მოწოდებული დოკუმენტაცია არის დაუსრულებელი, თითქოს ნაჩქარევად გადმოგზავნილი, ტექსტშივე გაკეთებული კომენტარებით, დაუსრულებელი წინადადებებით. ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირად საქმეებში ბევრგან არ ჩანს ბოლო 10 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევები და ნაშრომების სია (პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის მონაცემებში საერთოდ არ ფიგურირებდა საქართველოს უნივერსიტეტი, მეორეს პირადი საქმე კი უბრალოდ არც კი იყო წარმოდგენილი).

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის შინაარსი, კრედიტების მოცულობა, სწავლების მეთოდები ერთმანეთთან და პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი საგნები მიმართულია ზოგადი კომპეტენციების განვითარებაზე, სპეციალობის სავალდებულო კლინიკური სასწავლო კურსების სწავლების მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის რესურსებთან და სწავლების შედეგებთან, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების კუთხით, თუმცა ნაწილობრივ სტუდენტის კლინიკური გამოცდილების თვალსაზრისით.

პროგრამით გათვალისწინებული საგნების შეფასება მისაღებია, გამოცდაზე ფასდება სტუდენტის როგორც თეორიული მომზადება, ისე მისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები სტანდარტებთან მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია. სილაბუსებში გაპარულია შეცდომები, არაზუსტი ტერმინოლოგია, არ არის მითითებული რომელ სემესტრში გადიან კონკრეტულ სასწავლო კურსს. თერაპიული სტომატოლოგია I - საუბარია დიფერენციალურ დიაგნოზებზე, მაშინ როცა ჯერ დაავადებები არ აქვთ ნასწავლი (უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიციიდან ირკვევა, რომ აქ საუბარია დიფერენციალური დიაგნოსტიკის არსზე და დიფერენციალური დიაგნოსტიკის მეთოდებზე და არა დიაგნოზებზე, სასურველია ეს სილაბუსშიც დაკონკრეტდეს), თერაპიული სტომატოლოგია III - სწავლის ერთ-ერთ უნარში მითითებულია - დამოუკიდებლად ენდოდონტიური პროცედურების წარმოება პულპიტისა და პერიოდონტიტის მკურნალობის დროს, უნდა დაკონკრეტდეს, რომ სტუდენტი ამ ყველაფერს აკეთებს ფანტომზე და არა პაციენტზე, რაც სილაბუსში არ ჩანს. სპეციალობის თითქმის არცერთ სილაბუსში არ ჩანს პრაქტიკულ კომპონენტში როგორ მიიღება ქულა, არც სწავლის მიმდინარეობის დროს და არც გამოცდაზე. სტუდენტმა უნდა იცოდეს რა მანიპულაციების შესრულების შემდეგ შეძლებს კონკრეტული ქულის დაგროვებას (უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიციიდან ირკვევა, რომ ეს ხარვეზი გასწორებულია).

სპეციალობის პრაქტიკულ საგნებში სტუდენტთა კლინიკური მომზადების გარკვეული დეფიციტია, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ამის როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი. სტომატოლოგიურ ბაზებზე კონკრეტულად სტუდენტისთვის არ არის სტომატოლოგიური დანადგარი გამოყოფილი, საუნივერსიტეტო კლინიკაშიც 12 სტომატოლოგიური დანადგარიდან მხოლოდ ერთი სავარძელია სტუდენტებისთვის დათმობილი, თუ გავითვალისწინებთ სასწავლო კურსის სპეციფიკას და ჯგუფებში სტუდენტების დიდ რაოდენობას, საკმაოდ რთული იქნება პროგრამით დასახული მიზნების მიღწევა.

უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში სტუდენტთან მკურნალობა 10%-იანი ფასდაკლებით ხორციელდება. თუ გავითვალისწინებთ პრაისით გაწერილ სტომატოლოგიური მომსახურეობის ღირებულებას, 10% ძალიან მცირე შეღავათია. იმის გათვალისწინებით, რომ კლინიკა საუნივერსიტეტოა, პაციენტთა მოზიდვის მიზნით, სტუდენტებთან მკურნალობა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური, ამით გაიზრდება სტუდენტთა მიერ კლინიკური პრაქტიკის კომპონენტი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკრეტული პროგრამისთვის, რომელიც განკუთვნილია ძირითადად

უცხოელი სტუდენტებისთვის, რომელთაც არ აქვთ საქართველოში პოსტდიპლომური განათლების მიღების უფლება და იმ ქვეყნებში, საიდანაც ისინი არიან, პრაქტიკული კომპონენტში, კლინიკური აქტივობა უფრო ინტენსიურია (სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაცია). გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელსაც წლიურად 700-მდე სტუდენტი ჰყავს, კლინიკაში გამოყოფილი ერთი სავარძელი არასაკმარისია. (უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიცია ასეთია - *"კლინიკის ფარგლებში მუშაობს სპეციალური პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალკურსელი სტუდენტებისათვის პაციენტების მოზიდვას და დაგეგმილია სტომატოლოგიური სერვისით სამიზნე ჯგუფების უზრუნველყოფა, როგორებიცაა სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირები, ბავშვები და სხვ. პაციენტისთვის არის უფასო. კლინიკის მომსახურების საფასური სტუდენტის მიერ (პაციენტის თანხმობის შემთხვევაში) ჩატარებული მომსახურების შემთხვევაში არ აღემატება დახარჯული/გამოყენებული მასალის ღირებულებისა და ზედნადები ხარჯის ჯამს. ხოლო სტუდენტის მომსახურების კომპონენტი უფასოა*" - ვიზიტის დროს ყოველივე ზემოთქმული ჯერ არ ხორციელდებოდა და შესაბამისად ჩვენ შევაფასეთ სიტუაცია, რომელიც დაგვხვდა, სტუდენტთან მკურნალობის საფასური უნდა იყოს უფრო დაკონკრეტებული და ცალკე პრაისად გამოტანილი ("დახარჯული/გამოყენებული მასალის ღირებულება" ძალიან ზოგადი განმარტებაა).

- **რეკომენდაციები**

  - სწავლის შედეგები - კლინიკური უნარ-ჩვევების კუთხით, აუცილებელია ისეთი პროგრამისთვის, როგორიცაა - სტომატოლოგია. სტუდენტისთვის პაციენტის მიღება უნდა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში მინიჭებული ექნება კონკრეტული ქულა. ეს განსაკუთრებით ეხება სპეციალობის ისეთ საგნებს, როგორიცაა ოპერაციული ოდონტოლოგია, ენდოდონტია, პაროდონტოლოგია, მეტ-ნაკლებად - ქირურგია, ორთოპედია (პაციენტების სპეციფიკიდან გამომდინარე).

  - სტომატოლოგიურ ბაზებზე და საუნივერიტეტო კლინიკაში სტუდენტისთვის განკუთვნილი კურაციული მეცადინეობის საათებში გამოიყოს მეტი სტომატოლოგიური დანადგარი და სტუდენტთან პაციენტის მკურნალობის საფასური იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური.

  - გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის შეფასებაში, გაიწეროს სწავლის მიმდინარეობის დროს და შემდგომ უკვე გამოცდაზე როგორ ხდება პრაქტიკული უნარების შეფასებისას ქულების დაგროვება.

  - საჭიროა გაიზარდოს სტუდენტთა მომსახურების სამსახურის მუშაობის ეფექტურობა და სტუდენტებში მისი ცნობადობა. მომსახურების სამსახურმა განახორციელოს სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტების კონსულტირება დასაქმების და კარიერული ზრდის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით,

რომ კურსდამთავრებულთა ძალიან დიდი უმრავლესობა საქართველოში სწავლას ვერ გააგრძელებს, მათ წინასწარ უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რა პერსპექტივები აქვთ საქართველოს უნივერსიტეტის დიპლომით და მიღებული ცოდნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან კონტაქტების დამყარება, სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების მეტი შესაძლებლობა. ჯერ-ჯერობით რეალურად მხოლოდ ერთმა სტუდენტმა ისარგებლა გაცვლითი პროგრამით. (აპრილის ბოლოს იგეგმება 2 პედაგოგის და 5 სტუდენტის ორკვირიანი ვიზიტი ტაფტის უნივერსიტეტში, თუ ეს მიიღებს სისტემატურ ხასიათს, პროგრამას ნამდვილად დიდ სარგებელს მოუტანს).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორია, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ძირითადი მეცადინეობების გარდა ფანტომებზე პრაქტიკული უნარ-ჩვევებში ცოდნის გაღრმავება.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინა აკრედიტაციის დროს რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა პროგრამის სახელწოდებას, კრედიტების განაწილებას, სასწავლო კურსების სილაბუსებს, სასწავლო კურსების სწავლის მეთოდებსა და შეფასების კრიტერიუმებს, რაც ნაწილობრივ გასწორდა, თუმცა უკეთესი იქნება, თუ შეფასების კრიტერიუმები იქნება უფრო დეტალურად გაწერილი პრაქტიკული და კლინიკური მანიპულაციების გათვალისწინებით.

წინა აკრედიტაციის დროს რეკომენდებული იყო ლათინური ენის და სამედიცინო ტერმინოლოგიის კურსის დამატება, რაც არ იქნა გათვალისწინებული, საინტერესოა უნივერსიტეტის პოზიცია ამის თაობაზე (წინა აკრედიტაციის დასკვნის პროექტი ვიზიტის შემდეგ გადმოგვეცა, ამიტომ უნივერსიტეტთან პირადად ეს საკითხი ვერ გავარკვიეთ).

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე სტანდარტებისა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, კონკურენტუნარიანი, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სპეციალისტი; პროგრამის მიზანია დიპლომირებული სტომატოლოგების მომზადება. კურსდამთავრებულს ექნება პირის ღრუს ჯანმრთელობის მიმართულებით მედიცინის სფეროს (კლინიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) საბაზისო და სტომატოლოგიის დარგობრივი ცოდნა. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებო პროგრამა ორიენტირებულია საუნივერსიტეტო განათლების, გარკვეულწილად პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტების მომზადებაზე. პროგრამის შექმნის პროცესში გათვალისწინებულია პოტენციური დამსაქმებლების, სტუდენტების, მენტორების გარკვეული რეკომენდაციები. სტომატოლოგიის საგანმანათლებო პროგრამის მიზნები ეფუძნება სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებს და შესაბამისობაშია საქართველოს უნივერსიტეტის მისიასთან, უზრუნველყოს საქართველოს შრომით ბაზარი დამსაქმებელთა მოთხოვნის ადექვატური ხარისხის, სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტებით. პროგრამის მიზანია : * თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მიღება * საბაზისო მეცნიერების ცოდნა * ექიმი-სტომატოლოგის კომპეტენციის შესაბამისად, ზოგადი კლინიკური უნარების სწავლება, ეთიკური და სამართლებლივი პრინციპების ცოდნა. * უწყვეტი სამადიცინო განათლების და პროფესიული განვითარების აუცილებლობის მოტივაცია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობით ქვეყნის არარეზიდენტ კურსდამთავრებულს არ აქვს უფლება გავიდეს სალიცენზიო გამოცდაზე, კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება უფლება დაიკავოს მხოლოდ შემდეგი სამუშაო პოზიციები სტომატოლოგიურ კლინიკებში. კერძოდ, მას შეუძლია იყოს: ა) სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/დაწესებულების უმცროსი ექიმი-

სტომატოლოგი; ბ) სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/ დაწესებულების ექთანი; გ) სტომატოლოგიური პროფილის კაბინეტის/ დაწესებულების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი; სტუდენტებთან გასაუბრების შემდეგ ნათელია, რომ მათ ეს ყველაფერი იციან და მათი უმრავლესობა საქართველოში დარჩენას არ გეგმავს. პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდით და ამასთან ერთად, საზოგადოებრივი ინფორმირებულობის, ცნობიერების ამაღლებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა მასმედიის საშუალებით პერიოდულად ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვისა და ხელშეწყობის პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და გავრცელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელტა მოთხოვნების ანალიზი; ○ ვებგვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და მისი ყველა კომპონენტის ერთობლიობა მეტწილად უზურნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სტომატოლოგიის პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს სისტემურ ცოდნას

სტომატოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკის, დიაგნოსტირების, მკურნალობის გეგმის დასახვის შესახებ; უვითარებს პრაქტიკულ უნარებს ისეთ დარგებში, როგორიცაა თერაპიული სტომატოლოგია, ქირურგიული სტომატოლოგია, ყბა-სახის ქირურგია, ორთოპედიული სტომატოლოგია, ორთოდონტია, ბავშვთა თერაპია, ბავშვთა ქირურგია; უვითარებს მედიცინის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებით პირის ღრუსთან დაკავშირებულ კლინიკურ შემთხვევებში ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და რეკომენდაციების შემუშავების უნარს; უზრუნველყოფს პაციენტთან, პაციენტის კანონიერ წარმომადგენელთან და კოლეგებთან ურთიერთობისას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების, პროფესიული სტანდარტების, ეთიკური პრინციპების და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინების უნარს;

პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად არის ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც ყოველი სემესტრის ბოლოს მართავს შეხვედრებს სწავლის შედეგების შეფასების და სხვა მიმდინარე საკითხების განხილვის მიზნით. იმართება საკონსულტაციო შეხვედრები, ანალიზდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ხდება მომდევნო სემესტრებში განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა. პროგრამის განვითარების საბჭო პროგრამის შედეგების შეფასების ანგარიშის განხილვის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში იმუშავებს რეკომენდაციებს და იღებს გადაწყვეტილებებს შემდგომი ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული პროცესების ფარგლებში ხორციელდება სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების შეფასება და განსაზღვრა. პროცესს მონიტორინგს უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
პროგრამის მისაღწევი სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას და უნარებს,
სწავლის შედეგები - კლინიკური უნარ-ჩვევების კუთხით, აუცილებელია ისეთი პროგრამისთვის, როგორიცაა - სტომატოლოგია. სტუდენტისთვის პაციენტის მიღება უნდა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში მინიჭებული ექნება კონკრეტული ქულა. ეს განსაკუთრებით ეხება სპეციალობის ისეთ საგნებს, როგორიცაა ოპერაციული ოდონტოლოგია, ენდოდონტია, პაროდონტოლოგია, მეტ-ნაკლებად - ქირურგია, ორთოპედია (პაციენტების სპეციფიკიდან გამომდინარე). პრაქტიკის კლინიკურ კომპონენტზე განსაკუთრებით ღელავდნენ სტუდენტები ინტერვიუს დროს და აღნიშნავდნენ, რომ მათ ქვეყნებში სტუდენტები ბევრად მეტ პაციენტებს ღებულობენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- სილაბუსები.

რეკომენდაციები:

სწავლის შედეგები - კლინიკური უნარ-ჩვევების კუთხით, აუცილებელია ისეთი

პროგრამისთვის, როგორიცაა - სტომატოლოგია. სტუდენტისთვის პაციენტის მიღება უნდა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში მინიჭებული ექნება კონკრეტული ქულა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უნივერსიტეტში გამოყოფილია საფანტომო კლასი, სადაც სტუდენტი სურვილისამებრ იმაღლებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ფანტომებზე.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	*			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის დაშვების წინაპირობები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს: საქართველოს/უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომელთაც გააჩნიათ საქართველოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი: • ერთიანი ეროვნული გამოცდები; • ინგლისური ენა B2 დონე; ასევე, პროგრამის დაშვების წინაპირობაა : უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება ან ამასთან ერთად საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224 ბრძანებით გათვალისწინებული პროცედურების დაკმაყოფილებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ როგორიცაა: • ინგლისური ენა B2 დონე. • გამოცდა ბიოლოგია-ქიმია-ფიზიკა საბაზო საკითხებში ინგლისური ენის (B2) ცოდნა შესაძლოა დადასტურდეს TOEFL, IELTS, FCE და CERTUS სერთიფიკატების წარმოდგენით. იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტს არ აქვს ზემოაღნიშნული სერტიფიკატი, ინგლისური ენის კომპეტენცია დგინდება საუნივერსიტეტო გამოცდით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. აღსანიშნავია, რომ ქართველ და უცხოელ აბიტურიენტებს საქართველოს უნივერსიტეტი სთავაზობს სხვადასხვა საინფორმაციო და მხარდამჭერ სერვისებს, როგორებიცაა: - ღია კარის დღეები; - ტრენინგები აბიტურიენტებისათვის; - ღია ლექციები; - იმიტირებული ერთიანი ეროვნული გამოცდები; აღნიშნულ აქტივობებში აქტიურად არის ჩართული ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა და სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის აკადემიური პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ვებგვერდი ○ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვ.) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, მიმართულია ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისკენ. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობა არის ადეკვატური. პროგრამაზე სწავლა 10 სემესტრი და 300 კრედიტის ფარგლებში ხორციელდება. კრედიტების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასრულებლად საჭირო დრო. პროგრამა შეესაბამება საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებო პროგრამების შეფასების კრიტერიუმებს, რაც დასტურდება შემდეგი მახასიათებლებით: პროგრამა მიმართულია სტომატოლოგიის აუცილებელ საბაზისო ცოდნასა და გარკვეული პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. 2018 წლიდან საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე ამოქმედდა ახალი რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის განვითარების საბჭოს შექმნას. აღნიშნული რეგულაციის საფუძველზე სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭო შეიქმნა 2018 წლის ივლისში. მისი წევრები არიან: პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელი თანამშრომლები. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით

გათვალისწინებული კურიკულუმი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემასთან და აგებულია იმგვარად, რომ ერთი აკადემიური სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს არაუმეტეს 75 ECTS კრედიტს. საქართველოს უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო დებულების თანახმად, 1 ECTS კრედიტი უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს. აღნიშნული დათქმა წარმოადგენს ამოსავალ წერტილს თითოეული სასწავლო დისციპლინისათვის საათობრივი დატვირთვისა და კრედიტებით გაანგარიშებისათვის. პროგრამის შესახებ ინფორმაცია ღია და გამჭვირვალეა. ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს პროგრამის აღწერილობით ნაწილს, პროგრამის სტრუქტურასა და პროგრამაზე მიღების წინაპირობებს უნივერსიტეტისა და სკოლის ვებ-გვერდზე ინგლისურ და ქართულ ენებზე. პროფესიაზე კონცენტრირებული მოდულების გავლამდე სტუდენტი გადის ფუნდამენტურ დისციპლინათა მოდულს, რომლიც ყველა სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობაა და სტუდენტს აძლევს ზოგადფუნდამენტურ ცოდნას. თითოეულ მოდულში შემავალ კურსებზე არსებობს დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამაში შემავალი სხვა წინა კურსის/კურსების საგნების გავლას. წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტისთვის პროგრამის მითითებულია კურსების სილაბუსებში, რომელსაც სტუდენტი ეცნობა პირველივე ლექციაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები ○ სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის კომპეტენციების მატრიცა ○ წინაპირობების მატრიცა ○ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია ○ https://www.adee.org/documents/taskforces/task_force_ii_curriculum_struct_content_learning_assessment.pdf https://www.adee.org/taskforces/Undergraduate-Dental-Education-The-European-Perspective-Consultation-draft.pdf
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა მეტწილად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ძირითადი აქცენტი სტუდენტთა თეორიული მომზადებისკენაა მიმართული, რაც ასევე აუცილებელია, ასევე საკმარისადაა პრაქტიკული უნარ-ჩვევების მანეკენებზე და ფანტომებზე შესწავლა, თუმცა მხოლოდ ფანტომებზე მუშაობა, ექიმების ასისტირება და მცირე დოზით, არასავალდებულო, არსად გაწერილი მარტივი მანიპულაციების პაციენტებზე ჩატარება საკმარისი არაა კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მისაღებად. სტომატოლოგიის პროგრამა მიმდინარეობს სემესტრულად და გააჩნია თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეულ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები და თანაპირობები ლოგიკურად არის შემუშავებული. პროგრამის სტრუქტურა ადეკვატურია სტუდენტისთვის და ლოგიკურად აღსაქმელი. თოთოეული სასწავლო კურსი შექმნილია საჭირო საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და წარმოადგენილია ასტრონომიული საათების პროპორციულად ECTS კრედიტებში. სილაბუსები წარმოდგენილია უმეტესწილად უახლესი ლიტერატურით, გამონაკლის შემთხვევებში მითითებულია ძველი კლასიკური და თანამედროვე სწავლებაში აღიარებული ლიტერატურა. ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და განთავსებულია UG ბიბლიოთეკაში. სტუდენტს მის ელექტრონულ ბაზაში „ჩემი UG“ - მეშვეობით აქვს შესაძლებლობა შეუკვეთოს სილაბუსში წარმოდგენილი სახელმძღვანელოების ქსეროასლები, ან შეიძინოს UG წიგნების მაღაზიაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს Hinari-ისა და Elsevier-ის სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობას სტუდენტებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები სტანდარტებთან მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია, გაპარულია შეცდომები: სპეციალობის სილაბუსებში არ არის მითითებული სწავლების სემესტრი. თერაპიული სტომატოლოგია I - საუბარია დიფერენციალურ დიაგნოზებზე, მაშინ როცა ჯერ დაავადებები არ აქვთ ნასწავლი, თერაპიული სტომატოლოგია III - სწავლის ერთ-ერთ უნარში მითითებულია -

დამოუკიდებლად ენდოდონტიური პროცედურების წარმოება პულპიტისა და პერიოდონტიტის მკურნალობის დროს, უნდა დაკონკრეტდეს, რომ სტუდენტი ამ ყველაფერს აკეთებს ფანტომზე და არა პაციენტზე, რაც სილაბუსში არ ჩანს.

სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება, მაგრამ სილაბუსებში ეს შეფასება, განსაკუთრებით პრაქტიკული უნარ-ჩვევების, საჭიროებს დეტალიზებას. სილაბუსში შეიძლება არ ეწეროს კონკრეტული დავალება ან ამოცანა, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს თითოეული პრაქტიკული უნარ-ჩვევისთვის მინიჭებული ქულა.

სპეციალობის პრაქტიკულ საგნებში სტუდენტთა კლინიკური მომზადების გარკვეული დეფიციტია, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ამის როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი.

უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, რომელშიც ერთი სავარძელი გამოყოფილია სტუდენტების პრაქტიკული საქმიანობისთვის. სტუდენტთან მკურნალობა 10%-იანი ფასდაკლებით ხორციელდება. თუ გავითვალისწინებთ პრაისით გაწერილ სტომატოლოგიური მომსახურეობის ღირებულებას, 10% ძალიან მცირე შეღავათია. იმის გათვალისწინებით, რომ კლინიკა საუნივერსიტეტოა, პაციენტთა მოზიდვის მიზნით, სტუდენტებთან მკურნალობა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური, ამით გაიზრდება სტუდენტთა მიერ კლინიკური პრაქტიკის კომპონენტი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკრეტული პროგრამისთვის, რომელიც განკუთვნილია ძირითადად უცხოელი სტუდენტებისთვის, რომელთაც არ აქვთ საქართველოში პოსტდიპლომური განათლების მიღების უფლება და იმ ქვეყნებში, საიდანაც ისინი არიან, პრაქტიკული კომპონენტში, კლინიკური აქტივობა უფრო ინტენსიურია. გარდა ამისა, უნივერსიტეტს, რომელსაც წლიურად 700-მდე სტუდენტი ჰყავს, კლინიკაში გამოყოფილი ერთი სავარძელი არასაკმარისია. (უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიცია ასეთია - *"კლინიკის ფარგლებში მუშაობს სპეციალური პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალკურსელი სტუდენტებისათვის პაციენტების მოზიდვას და დაგეგმილია სტომატოლოგიური სერვისით სამიზნე ჯგუფების უზრუნველყოფა, როგორებიცაა სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირები, ბავშვები და სხვ. პაციენტისთვის არის უფასო. კლინიკის მომსახურების საფასური სტუდენტის მიერ (პაციენტის თანხმობის შემთხვევაში) ჩატარებული მომსახურების შემთხვევაში არ აღემატება დახარჯული/გამოყენებული მასალის ღირებულებისა და ზედნადები ხარჯის ჯამს. ხოლო სტუდენტის მომსახურების კომპონენტი უფასოა*" - ვიზიტის დროს ყოველივე ზემოთქმული ჯერ არ ხორციელდებოდა და შესაბამისად ჩვენ შევაფასეთ სიტუაცია, რომელიც დაგვხვდა, სტუდენტთან მკურნალობის საფასური უნდა იყოს უფრო დაკონკრეტებული და ცალკე პრაისად გამოტანილი ("დახარჯული/გამოყენებული მასალის ღირებულება" ძალიან ზოგადი განმარტებაა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;

○ სწავლის შედეგების რუქა.
რეკომენდაციები: გაიზარდოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტების მიღება გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, როგორც მიღებულია მსოფლიოს ძალიან ბევრ უმაღლეს სასწავლებელში. სტომატოლოგიურ ბაზებზე და საუნივერიტეტო კლინიკაში სტუდენტისთვის განკუთვნილი კურაციული მეცადინეობის საათებში გამოიყოს მეტი სტომატოლოგიური დანადგარი და სტუდენტთან პაციენტის მკურნალობის საფასური იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური. გასწორდეს სილაბუსები, დაკონკრეტდეს ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი პაციენტებზე და ფანტომებზე, შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით მუშაობა. სტუდენტები კვლევებში მონაწილეობის დიდ სურვილს გამოთქვამენ. აკადემიური პერსონალი კი საკუთარი მეთვალყურეობის ქვეშ ახორციელებს აღნიშნულ სამეცნიერო საქმიანობას. უნივერსიტეტმა შეიმუშავა აკადემიური წერის უნარების უკეთესად განვითარებისთვის ტრეინინგ-კურსი, რომელშიც ისინი სამეცნიერო ნაშრომის შემუშავების ძირითად სტანდარტებს გაივლიან. უშუალოდ კვლევაზე მუშაობის დროს კი ლექტორებისგან მიიღებენ რელევანტურ რჩევებს. ბიუჯეტში გათვალისწინებულია გრანტი 70 000 ლარის ოდენობით რაც გათვალისწინებულია სამეცნიერო-კვლევითი

საქმიანობისთვის. მოცემული მომენტისთვის გაცვლითი პროგრამა განხორციელება მხოლოდ პორტოს უნივერსიტეტში, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთ სტუდენტზე იყო საუბარი. ეს საკმაოდ პატარა ციფრია. უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმი ტაფტის უნივერსიტეტთან (აშშ). აპრილის ბოლოს იგეგმება 2 პედაგოგის და 5 სტუდენტის ორკვირიანი ვიზიტი ტაფტის უნივერსიტეტში, თუ ეს მიიღებს სისტემატურ ხასიათს, პროგრამას ნამდვილად დიდ სარგებელს მოუტანს. უნივერსიტეტში ტარდება მასტერკლასები, კონფერენციები, სემინარები, საჯარო ლექციები და ა.შ რომელზეც ინფორმაციას ინტერვიუს დროს ყველა გამოკითხული სტუდენტი ფლობდა, მათი ნაწილი კი ესწრებოდა. ტრეინინგ-ლაბორატორია კი სტუდენტებს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად იმუშაონ, უნარები გაიწაფონ სილაბუსით გათვალისწინებულ ლაბორატორიულ საქმიანობაში. სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომები წარმოდგენილია ჟურნალში „Caucasus journal of health sciences and public health”.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი; ○ სტუდენტების ტანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ ასოციაციის წევრობის დოკუმენტი; ○ მემორანდუმის დოკუმენტი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან კონტაქტების დამყარება, სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების მეტი შესაძლებლობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული საწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს, ასევე, სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მეტნაკლებად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. დიდი ყურადღება ეთმობა თეორიულ სწავლებას და კონცენტრირებულია ინტერაქტიური ლექციების, რეფერატების და პრეზენტაციების სტილით, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება ხდება მანეკენებსა და ფანტომებზე მუშაობით, ექიმების ასისტირებით და ყურებით, პაციენტებზე მარტივი მანიპულაციების ჩატარებით, რაც ერთის მხრივ უზრუველყოფს სტუდენტის ინტეგრირებას კლინიკურ სივრცეში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. პაციენტებთან მეტი დოზით დამოუკიდებლად მუშაობა, კონსულტაციები, ანამნეზის შეკრება, დიაგნოზის დასმა, პრაქტიკული უნარების განვითარება (პროფესორის ზედამხედველობის ქვეშ), როგორც სწავლის მნიშვნელოვანი მეთოდი, აუცილებელია ამ სპეციალობის პროგრამის სტუდენტებისთვის და დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სწავლება-სწავლის მეთოდები; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები: გაიზარდოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, პროფესორის და მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტთან მუშაობა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში გაწერილია შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლას, თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. პროგრამაში ყოველდღიური შეფასება ხდება ქვიზის სახით. სტუდენტის გვერდზე ყოველკვირეულად აისახება ქვიზის შეფასებები, რაც სისტემას ქმნის მოქნილს. კურაციულ საგნებში გარდა ყოველდღიური წერითი ქვიზისა, სტუდენტებს უტარდებათ ყოველკვირეული პრაქტიკული სამუშაოები, რაც ფასდება ლექტორის მიერ. ყოველ სტომატოლოგიურ საგანზე შეფასების სისტემის კომპონენტები განსხვავებულია, ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, თუმცა სასწავლო კურსების არცერთ სილაბუსში კურსის პრაქტიკული კომპონენტის შეფასება დეტალურად არაა წარმოდგენილი, მხოლოდ ჯამური ციფრია მითითებული. აუცილებელია, რომ უფრო დეტალურად იყოს ჩაშლილი სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შეფასება პრაქტიკულ ნაწილში. არ არის საჭირო კურსის მიმდინარეობის და გამოცდის დროს პრაქტიკული დავალებების დეტალიზება, მაგრამ სილაბუსში უნდა იყოს მითითებული კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევის შემდეგ მიიღება და სტუდენტმა ეს წინასწარ უნდა იცოდეს. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის კურაციული სწავლების სპეციალიზირებულ საგნებში (თერაპიული სტომატოლოგია, ბავშვთა სტომატოლოგია, ორთოპედიული სტომატოლოგია, ქირურგიული სტომატოლოგია, ორთოდონტია) სტუდენტს გარდა შუალედური შეფასებისა, რაც მოიცავს დასკვნითი გამოცდის გარდა ყველა სხვადასხვა სახის შეფასებას, უტარდება ორკომპონენტიანი დასკვნითი გამოცდა: *წერითი გამოცდა + პრაქტიკული უნარების შეფასება.* პრაქტიკული უნარების შეფასება ტარდება საქართველოს უნივერსიტეტის ლაბორატორიებში, ხოლო კურაციული სწავლების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სტომატოლოგიურ კლინიკებში ან UG სტომატოლოგიურ კლინიკაში. ძირითად საგნებში ფინალური გამოცდები არის წერით ფორმატში. უნივერსიტეტში მიმდინარეობს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვა, რისთვისაც გამოიყო ფართი და მოეწყო 6 საგამოცდო სადგური. გამოცდის ეს ფორმა სავარაუდოდ წელს უკვე ამოქმედდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;

○ პრაქტიკული უნარების შეფასების დოკუმენტი
რეკომენდაციები: უფრო დეტალურად უნდა იყოს ჩაშლილი სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შეფასება პრაქტიკულ ნაწილში. სილაბუსში უნდა იყოს მითითებული კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევის შემდეგ მიიღება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა		*		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სტომატოლოგიის პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, რაზეც მეტყველებს როგორც სასწავლო პროგრამისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა ასევე ადმინისტრაციული, სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის მზაობა.

სტუდენტებისთვის მარტივად ხელმისაწვდომია საჭირო ინფორმაცია, კერძოდ ისინი MY UG საიტის აქტიური მომხმარებლები არიან. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა ითვალისწინებს სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობისა და კონსულტაციისთვის განკუთვნილ დროს. ლექტორების უმრავლესობა აღნიშნავს სტუდენტებთან აქტიურ თანამშრომლობას, კომენტარს აკეთებს სასწავლო შედეგებისა მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში კი მათთვის დამატებით საკონსულტაციო საათებსაც გამოყოფს, კვლევითი საქმიანობის ან კვლავ სასწავლო მიზნებისათვის. მეორეს მხრივ ზოგიერთი ლექტორი არ ფლობს ინფორმაციიას აუცილებელი საკონსულტაციო საათების არსებობის შესახებ და დასძენს რომ ნაკლებად მიმართავს სტუდენტებთან კონსულტაციის ფორმატს, ამბობს რომ სტუდენტთა მომართვიანობა მის შემთხვევაში ძალიან უმნიშვნელოა. სტუდენტი უზრუნველყოფილია უმეტესწილად ადგილობრივ კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში მიიღოს მონაწილეობა, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. რაც შეეხება საერთაშორისო ასპარეზსს, ამ თვალსაზრისით, ინტერვიუების დროს უმეტესწილად დაასახელეს პორტოს და ტაფტის უნივერსიტეტი (აშშ), რომელთანაც UG ამ ეტაპზე აქტიურად თანამშრომლობს. სტუდენტი პროგრამის ფარგლებში იღებს კონსულტაციებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, თუმცა დამსაქმებლებთან თანამშრომლობასა და კარიერული განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს ის არ ითვალისწინებს. სტუდენტებმა მოცემული საკითხი აღნიშნეს ინტერვიუს დროს, <u>მათი და დამსაქმებლების შეხვედრა არ შემდგარა</u>. ინტერვიუების დროს ორივე დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა რომ მათი კლინიკები წარმოადგენენ მხოლოდ სასწავლო ბაზას. ერთ კლინიკას ჰყავდა მოხალისე სტუდენტები, რომლებიც სურვილისამებრ, არარეგულარულად, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დადიოდნენ კლინიკაში. ამ დროისთვის UG-ს სტუდენტებიდან არავინაა დასაქმებული. ორივე დამსაქმებელმა განაცხადა მზაობა სტუდენთა დასაქმების შესახებ, თუმცა ამ ეტაპისთის მათ ბაზაზე ხელშეკრულებით არცერთი სტუდენტი არ დადის. ინტერვიუს დროს წარმოდგენილი სტუდენტებიდან მხოლოდ ერთი ფლობდა ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული კლუბის UG Dental Club ის შესახებ. დანარჩენები არ იცნობდნენ ამ კლუბის მიზნებს, მიმართულებას და ვერც განხორციელებული პროექტები გაიხსნეს. სტუდენტები იღებენ მონაწილეობას შიდა ხარისხის გაუმჯობებაში, MY UG საიტის საშუალებით მიწოდებული კითხვარების შევსებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სტუდენტთა ელექტრონული გვერდი; ○ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: საჭიროა გაიზარდოს სტუდენტთა მომსახურების სამსახურის მუშაობის ეფექტურობა და სტუდენტებში მისი ცნობადობა. მომსახურების სამსახურმა განახორციელოს სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტების კონსულტირება დასაქმების და კარიერული ზრდის შესაძლებლობებთან დაკავშირებით
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაში	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის

	ა მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		*		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 112 აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი. პროგრამაში ჩართული პერსონალის 37% წარმოადგენს ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის აკადემიურ პერსონალს, ხოლო დანარჩენი მოწვეულს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია: ა) დარგის/ქვედარგის სპეციფიკა; ბ) სტუდენტების არსებული რაოდენობა; გ) სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა; დ) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების რაოდენობა; პროგრამაში ჩართულია შემდეგი აკადემიური პერსონალი: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი. პროგრამაში ჩართული პირების

კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებში არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. კვალიფიკაციის შესაბამისობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირის აკადემიური ხარისხი, მიღებული სპეციალური განათლება, აგრეთვე, ინგლისური ენის ცოდნა სულ მცირე B2 დონეზე.

პროგრამის განვითარებაში პერიოდულად, გარკვეულ ეტაპზე, ჩართულები არიან საერთაშორისო ლექტორები.

პროგრამის ხელმძღვანელებიდან მხოლოდ ერთს გააჩნია აკადემიური ხარისხი, მეორე ჯერ დოქტორანტია, მცირეა მისი პედაგოგიური და კლინიკური გამოცდილება. აკადემიური და მოწვეული პერსონალი, განსაკუთრებით სპეციალიზაციის სასწავლო კურსებში უმეტესად ახალგაზრდა გუნდითაა წარმოდგენილი, შესაბამისი ცოდნითა და გამოცდილებით.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება ნაწილობრივ ინგლისურ ენაზე წარიმართა, რესპოდენტებმა ენის სათანადო ცოდნა გამოავლინეს.

საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შემდგომ შედეგების ანალიზს, რისთვისაც შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის გამოკითხვის ფორმები.

პერსონალის სწავლების კომპეტენციის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კრიტერიუმებით. მიმდინარეობს მონიტორინგი, რომლის დროსაც ხორციელდება აკადემიური პერსონალის შეფასება, სილაბუსის შემოწმება, პერსონალის პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრა, პროფესორ მასწავლებლების ცოდნის გადაცემის უნარის შემოწმება.

სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის შეფასება მნიშვნელოვანია, რისთვისაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სტუდენტთა გამოკითხვის ფორმებს; სტუდენტთა სისტემატური გამოკითხვის ორგანიზებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კრიტერიუმები, რეგულაციები და პროცედურები; სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის ან სემესტრის ბოლოს; გამოკითხვა მიმდინარეობს ანონიმურად და აუცილებელია კონფედენციალობის დაცვა; სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი და ხორციელდება რეკომენდაციების წარდგენა პროგრამების შემდგომი მოდიფიცირებისა და განვითარების მიზნით.

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ამასთანავე სამეცნიერო კვლევითი კონკრეტული აქტივობების დაფინანსების საკითხების გადაწყვეტას აწარმოებს შესაბამისი ბიუჯეტის ფარგლებში;

პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის კვალიფიკაციასა და ცოდნაზე ჩვენს აზრს დავაფიქსირებთ უნივერსიტეტიდან მისი პირადი საქმის გამოგზავნის შემდეგ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროფესორ-მასწავლებელთა პირადი საქმეები, მათთან დადებული ხელშეკრულებები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი;
- სკოლის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესეულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

ამ მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მართვის სამსახურს და სამეცნიერო ჟურნალის „კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალის“ (“Caucasus Journal of Social Sciences”) რედაქციას.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი დოკუმენტაციის შესწავლამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტმა თავი მოუყარა სათანადო სამეცნიერო ხარისხის, სამეცნიერო- პედაგოგიური და პრაქტიკული ცოდნის მქონე პირებს, თუმცა ახალგაზრდულ კოლექტივს შესაბამისი გამოცდილებით. რაც დადასტურდა ვიზიტზე.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების მიერ ჩატარებული ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი სისტემატურად მოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტუდენტთა მიერ, რაც აისახება სპეციალური გამოკითხვის ფორმებში. სემესტრის ბოლოს სტუდენტები ელექტრონულად ავსებენ პერსონალის და პროგრამის

შეფასების კითხვარს. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან. სკოლის დირექტორი განზოგადებულ შედეგებს, განიხილავს სკოლის საბჭოს სხდომაზე. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს და ეს დადასტურდა ვიზიტის დროსაც, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე. უნივერსიტეტში და მის გარეთ აკადემიური პერსონალი ხშირად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში, მეთოდოლოგიური სემინარებში, ტრეინინგებში. საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას უზრუნველყოფს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით. ამის მაგალითია სტომატოლოგიის დეპარტამენტის მემორანდუმი ტაფტის უნივერსიტეტთან (აშშ) და ADEE-ს წევრობა. ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ბიუჯეტი ითვალისწინებს სკოლის ადამიანური რესურსების სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით განვითარების პროექტების დაფინანსებას, რომლისთვისაც მიმდინარე წლის ბიუჯეტში გამოყოფილია 119.000 ლარი. აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში დაფინანსებისათვის გამოყოფილია 70.000 ლარი, ხოლო სკოლის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საკომუნიკაციო უნარების (თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების, უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების და სხვ კუთხით) კვალიფიკაციის ამაღლებაზე გათვალისწინებულია 15.000 ლარი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სკოლის ბიუჯეტი; ○ პროფესორ-მასწავლებელთა პირადი მონაცემები, მათთან დადებული ხელშეკრულებები; ○ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლა უზრუნველყოფილია ლაბორატორიებით, გამართულია ინფრასტრუქტურულად. სკოლას გააჩნია ახლადაღჭურვილი სიმულაციური ჰოსპიტალი, ორთოპედიული სტომატოლოგიის ლაბორატორია, სტომატოლოგიური სიმულაციური და პრაქტიკული ლაბორატორიები, სადაც შესაძლებელია სპეციალობის პრაქტიკული გამოცდების ვიდეო-აუდიო ჩანაწერების განხორციელება. სტომატოლოგიური სიმულაციური ლაბორატორიები აღჭურვილია სპეციალობის შესაბამისი მრავალფუნქციური აპარატურით, მულაჟებით, ფანტომებით, ინსტრუმენტებით, მასალებით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია საფანტომო სწავლებისთვის გამოყოფილი და პროფესორების მიერ პაციენტების მიღებისთვის გათვალისწინებული საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა. გარდა ამისა, პროგრამას ემსახურება სხვა კერძო კლინიკებიც. კლინიკების აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა საკმარისია სტუდენტებისთვის ბაზისური ცოდნის მიწოდებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებთან, სადაც სტუდენტებს პრაქტიკული მეცადიონებები უტარდებათ, აკვირდებიან კვალიფიციური ექიმების მუშაობას და რიგ შემთხვევებში ასისტირებას უწევენ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლაბორატორიები, რომლებიც სწავლების პროცესისთვისაა განკუთვნილი. კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და საკონფერენციო დარბაზები მორგებულია სტუდენტის ინტერესებს და სტანდარტებს. სასწავლო აუდიტორიები მოწყობილია ინფორმაციული ტექნოლოგიებით (პროექტორები, კომპიუტერები, ინტერნეტი, ვიდეოტრანსლაციითა და მონიტორებით). ფუნქციონირებს სტანდარტებს მორგებული ბიბლიოთეკაც, წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალებს (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით და ასევე სხვა სახის ლიტერატურით. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: HINARI, ELSEVIER, ADEE. სკოლის სამკითხველოს წიგნად ფონდში ინახება 1887 ერთეული სპეციალიზირებული ლიტერატურა, შესყიდვის პროცესშია 47 დასახელების თანამედროვე სახელმძღვანელო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ○ შესყიდვების საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია, რაც დასტურდება წინა წლების ფინანსური შედეგებით, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ პროგრამა არის მზარდი და ფინანსურად მომგებიანი. საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ბიუჯეტი ხარჯვითი ნაწილი პასუხობს უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას: გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი განვითარების დაფინანსება, გაცვლით პროგრამებში სტუდენტების ხელშეწყობა და თანადაფინანსება, გაცვლითი პროგრამებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვ. ბიუჯეტში გათვალისწინებულია და ასევე, ამჟამად მიმდინარეობს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, რაც თავისმხრივ მნიშვნელოვანია, რომ მომავალში განხორციელდეს გამოცდილი აკადემიური პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება. ბიუჯეტში გაწერილია ლიტერატურის განახლება და ახალი წიგნების მიღება, სამეცნიერო აპარატურისა და მასალების შესყიდვა, ასევე საერთაშორისო ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ○ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; ○ შესყიდვების საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	*			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება. ამ მიზნით შექმნილია პროგრამის განვითარების საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფაზე

პასუხისმგებელი პირი, პროგრამაში ჩართული პერსონალი, სტუდენტები. პრინციპი - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ წარიმართება სწორედ ზემოხსენებული საბჭოს მიერ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით შიდა შეფასების შედეგად ხდება პროგრამის ნაკლოვანებების გამოვლენა და მუშავდება სტრატეგია მათ აღმოსაფხვრელად. სტუდენტებში ტარდება გამოკითხვები როგორც პროგრამასთან დაკავშირებულ, ასევე, ადმინისტრაციულ საკითხებზე. ვიზიტისას წარმოდგენილი იყო მაგალითები, როცა სტუდენტების შეფასებებზე დაყრდნობით პროგრამაში შევიდა ცვლილებები. აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან შეხვედრისას დადასტურდა, რომ ისინი ერთობლივად მუშაობდნენ პროგრამის შიდა შეფასებაზე და ცვლილებების შეტანაზე. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. სამწუხაროდ, აკრედიტაციისთვის მოწოდებული დოკუმენტაცია არის დაუსრულებელი, თითქოს ნაჩქარევად გადმოგზავნილი, ტექსტშივე გაკეთებული კომენტარებით, დაუსრულებელი წინადადებებით. ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირად საქმეებში ბევრგან არ ჩანს ბოლო 10 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევები და ნაშრომების სია (პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის მონაცემებში საერთოდ არ ფიგურირებდა საქართველოს უნივერსიტეტი, მეორეს პირადი საქმე კი უბრალოდ არც კი იყო წარმოდგენილი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ○ შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება.
რეკომენდაციები: შიდა ხარისხის სამსახურმა უნდა იზრუნოს თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტის ხარისხზე, თანმხლები დოკუმენტაციის სისრულეზე, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი აქტიურად მიმართავს გარე შეფასებას და მეტწილად ითვალისწინებს მათ მიერ გაწეულ რეკომენდაციებს. პროგრამა შეფასდა 2014 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ხოლო 2018 წელს უცხოელი ექსპერტის მიერ.

2018 ის წლის 11 ოქტომბერს მარმარას უნივერსიტეტის დეკანმა შეაფასა უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სტომატოლოგიის პროგრამა. მან აღნიშნა, რომ UG-ის მოცემული პროგრამა პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე :

- უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ფუნდამენტურ საბაზისო თეორიულ განათლებას და რელევანტურ პრაქტიკულ უნარებს;
- პროგრამის მიზნები და შედეგები შესამაბისი და გაზომვადია;
- უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ სწავლებას;
- არჩევითი საგნები ხელს უწყობს ტრანსფერული ცოდნისა და უნარების განვითარებას.

უნივერსიტეტმა მიიღო გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. მიზანშეწონილია სტუდენტებს პაციენტებთან დამკვირვებლის სტატუსით ურთიერთობის საშუალება ჰქონდეთ, სწავლის ადრეულ პერიოდშივე

ინტერვიუს დროს სტუდენტებმა განაცხადეს რომ სასწავლო ბაზებზე აქვთ პაციენტებთან კონტაქტის საშუალება, რაც ძირითადად კურაციული სწავლების პერიოდს ემთხვევა, თუმცა არნიშნავენ, რომ საკმაოდ მცირე დოზით.

2. შეხვედრები კურსდამთავრებულებთან

უნივერსიტეტს ამ ეტაპზე არ ჰყავს კურსდამთავრებულები, თუმცა გეგმავს მათ მიერ დაგროვილი გამოცდილება ბაკალავრიატის სტუდენტებს გაუზიაროს შეხვედრების ფორმატში.

3. ჩატარდეს ლექციები პაციენტთა უფლებების, მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ.

უნივერსიტეტი აღნიშნული მიმართულებით აქტიურად მუშაობს. სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას პაციენტთა უფლებების შესახებ. პრაქტიკული სამუშაობისა და დაკვირვების წარმართვა მხოლოდ პაციენტის თანხმობითაა შესაძლებელი. საგანი „ბიოეთიკა და სამედიცინო სამართალი“ გათვალისწინებულია პროგრამის კურიკულუმით. გარდა ამისა, ლექტორები აწვდიან კონკეტული ქეისის განხილვისას აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციას, რაც ასევე ინტერვიუების დროს დადასტურდა.

საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაცია ჩატარდა 2014 წლის 2 მაისს. უნივერსიტეტი თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნავს რომ მიღებული

რეკომენდაციების საფუძველზე განახორციელეს გარკვეული ცვლილებები. უნივერსიტეტი განაცხადებს რომ ამ ხნის განმავლობაში პროგრამაზე უცხოელ სტუდენტთა მოთხოვნა გაიზარდა, კონკურენტული სწავლის საფასურით და მაღალი ხარისხის სწავლებით, რაც მოთხოვნის ზრდის ტენდენციის საფუძველს წარმოადგენს. გაფორმდა მემორანდუმი ტაფტის უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტი გახდა ევროპის სტომატოლოგიური განათლების ასოციაციის წევრი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ გარე ხარისხის შეფასების შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის მიღებიდან ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. მონიტორინგი წარმოებს საქართველოს უნივერსიტეტში არსებული რეგულაციის - *ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის* შესაბამისად, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება. საქართველოს უნივერსიტეტში პროგრამების შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შემოწმება და ანალიზი სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასებებით ხორციელდება, ყოველი კურსის გავლის შემდეგ აკადემიური და მოწვეული პერსონალი გამოავლენს კურსის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ხარვეზებს და თავის მოსაზრებებს უზიარებს პროგრამის ხელმძღვანელს. გარდა ამისა წარმოებს სტუდენტების გამოკითხვაც პროგრამის, სასწავლო კურსების, მათი განმახორციელებელი პირების შესახებ, კითხვარებს ავსებენ ასევე დამსაქმებლებიც. მიმდინარეობს ინფორმაციის სისტემური შეგროვება, გამოკითხვების ჩატარება, შეგროვილი ინფორმაციის დამუშავება და შემდგომი ანალიზი. კვლევა და ანალიზი კეთდება პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა-გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის შეფასების საბჭო შემაჯამებელ სხდომას ატარებს სემესტრულად, სულ მცირე ერთხელ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება დამატებითი შეხვედრები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; ○ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	*			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სტომატოლოგიის პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	*			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		*		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		*		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	*			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	*			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო კორსანტია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკატერინე ბეშკენაძე

ანა ბაცანკალაშვილი